

გამოცდა თეოლოგიაში

საგამოცდო საკითხები:

1. რელიგიური რწმენის ფორმები და მისი განვითარების სახეები;
2. მსოფლიო რელიგიების ზოგადი მიმოხილვა;
3. რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში, ზოგადი აღწერა;
4. რელიგიური უმცირესობების უფლებები და გამოწვევები საქართველოში;
5. რელიგიის ცნების განმარტება.

ლიტერატურა:

1. პაპუაშვილი ნ., მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002.
2. რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი #1-2, 2009.
3. ბიბლია, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბ., 2001.
4. ბიბლიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2006.
5. ქრისტიანობის ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 2011.
6. მ. პაპაშვილი საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995.
7. ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, თბ., 2007.
8. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999.
9. ბ. კუპატაძე, მსოფლიო ცივილიზაციები, თბ., 2005.
10. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
11. მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე, თბ., 2013.
12. ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996.
13. უპანიშადები, თბ., 1995.
14. ვ. ვარდიძე, ფუნდამენტალური თეოლოგია, ტ.1 და 2.
15. რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში.

<http://tdi.ge/sites/default/files/religiuri-diskriminaciisa-da-konstituciuri-sekularizmis-kvleva.pdf>

შეფასების სიტემა:

გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს საგამოცდო საკითხების ხუთივე პუნქტს, რისი მიხედვითაც მოხდება კანდიდატის ზოგადი ცოდნის შეფასება.

მოცემული იქნება ხუთი საკითხისაგან შედგენილი ბილეთი, თითო საკითხის მაქსიმალური შეფასება 20 ქულა, ჯამში მაქსიმალური 100 ქულა.

საკითხის შეფასების კრიტერიუმები:

100%-მდე (ამ კომპონენტის max შეფასების) - მაღალ დონეზე ფლობს შესწავლილ საკითხებს, პასუხისას შეუძლია მასალის გადმოცემა დამოუკიდებლად, ლოგიკურად

და ამომწურავად შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით; სწორად პასუხობს
გამოკითხვის თემასთან დაკავშირებულ დამატებით შეკითხვებს;

80% - მდე (ამ კომპონენტის max შეფასების) - იცის შესწავლილი საკითხები და შესაბამისი ტერმინოლოგია; შეუძლია შესწავლილი მასალის სწორად და დამოუკიდებლად გადმოცემა, მაგრამ პასუხი შეკვეცილია, ნაკლებად იყენებს ტერმინოლოგიას;

60% - მდე (ამ კომპონენტის max შეფასების) - იცის შესწავლილი საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ უჭირს მასალის დამოუკიდებლად გადმოცემა; პასუხისას უშვებს არაარსებითი ხასიათის უზუსტობებს. გამოყენებული ტერმინოლოგია ნაწილობრივ მცდარია;

40% - მდე (ამ კომპონენტის max შეფასების) - საკითხის ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია; დამოუკიდებლად ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებს;; პასუხისას უშვებს არაარსებითი ხასიათის შეცდომებს; ტერმინოლოგია ძირითადად მცდარია;

20% - მე (ამ კომპონენტის max შეფასების) - პასუხისას შეუძლია მხოლოდ მწირი ინფორმაციის სწორად გადმოცემა; არის არსებითი ხასიათის შეცდომები; ტერმინოლოგია არსებითად მცდარია;

0% - არ იცის მასალა და ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებს.

შენიშვნა: ერთსა და იმავე კრიტერიუმის ფარგლებში ქულათა დიფერენცირება ითვალისწინებს დაშვებულ არაარსებითი ხასიათის უზუსტობას.